განკარგულება:**g-81. 8123080001**
თარიღი:**21/03/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №20

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების-სოფ. გაგულეჩში მდებარე 6327.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.04.30.192) პირდაპირი განკარგვის წესით - სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო ,,უზუფრუქტი“) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის“ გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის და სააგენტოს უფროსის კახა ცერცვაძის 2023 წლის 09 მარტის №11/1450 წერილის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციაპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, სოფ. გაგულეჩში მდებარე 6327.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 89.04.30.192) პირდაპირი განკარგვის წესით - სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო ,,უზუფრუქტი“) გადაეცეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირს ,,ეროვნული სატყეო სააგენტოს“, სააგენტოს მიერ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის, დადგენილი წესით ხე-ტყის დამზადებისა და მოსახლეობის ხე-ტყით უზრუნველყოფისა და მოპოვებული მერქნული რესურსების კანონმდებლობით დადგენილი წესებით განკარგვის მიზნით 20 წლის ვადით.

2. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი